სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „მეტრო სერვის +“ ს/კ 205150352 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **პლასტიკური ბარათების პრიტერის და სახარჯი მასალების შესყიდვაზე**

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

	დასახელება	რაოდ.
1	პლასტიკური ბარათების პრინტერი - Fargo HDP5000e (პროგრამული უზრუნველყოფით)	3
2	რიბონი RBN H2 YMC 750 IMAGE	20
3	ფირი RBN H2 INTM 1500 IMAGE	10
4	პრინტერის საწმენდი საშუალება - სველი საწმენდი ბარათი -Alcohol Cleaning Card	10

საჭირო მახასიათებლები

- პლასტიკური ბარათების პრინტერი რეტრანსფერული ტიპის ცალმხრივად ბეჭდვისთვის Dye-Sublimation / Resin Thermal Transfer სტანდარტით;
- ბარათის სტანდარტი: ზომის სტანდარტი - CR-80; სისქის დიაპაზონი 30mil-50mil; მასალა: ABS, Laminated PVC, PET, PETG, proximity, smart and mag stripe cards;
- ბეჭდვის რეზოლუცია: 300 dpi; ბეჭდვის სიჩქარე დაახლ. 150 ფერადი ბარათი საათში (ცალმხრივი);
- ბეჭდვა ფერადი ფირის და გამჭვირვალე ფირის საშუალებით მაღალ ტემპერატურაზე; over-the-edge (თეთრი კიდეების გარეშე); ანაბეჭდი ხარისხიანი ბარათის პირობებში უნდა იყოს გამძლე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს გამჭვირვალე ფირის ორ ფენად დატანა ანაბეჭდის მეტი გამძლეობისთვის;
- მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ტიპის სახარჯი მასალა: მონოქრომული (შავი); ფერადი, დაცული (ფლუორესცენტული პანელით);
- დისპლეი სტატუსებისთვის / ტესტებისთვის;
- ინტერფეისი: Ethernet, USB 2.0;
- Windows დრაივერი; უტილიტა დიაგნოსტიკისთვის; წმენდისთვის, ტესტირებისთვის; განახლებებისთვის;
- ოპციების დამატების შესაძლებელი ადგილზე: ორმხრივი ბეჭდვის მოდული; სხვადასხვა სტანდარტის პროგრამატორი (მინიმუმ კონტაქტური / უკონტაქტო Mifare ბარათისთვის);
- ბარათის მიმწოდებელი ბუნკერის ტევადობა: 100 ბარათი; ხოლო დაბეჭდილი ბარათის ბუნკერის - 200 ბარათი;
- პროგრამული უზრუნველყოფა მუდმივი ლიცენზირებით (1 სამუშაო ადგილი);
- პროგრამაში სხვადასხვა შაბლონების შექმნის შესაძლებელობა;
- ულიმიტო ცვლადი ველების ან/და მონაცემთა ბაზის დამატება;
- ხელმოწერის, ფოტოს დამატება;

- მოწყობილობაში დიზაინის აწყობა;
- მომხმარებლების უფლებების მართვა;
- რეპორტების გამოტანა;
- გარანტია 2 წელი.

მოწყობილობის კომპლექტაცია

- პროგრამული უზრუნველყოფა (მუდმივი);
- საჭირო კაბელები;
- სახარჯი მასალის საწყისი კომპლექტაცია;
- ვებკამერა.

მოწოდება უნდა განხორციელდეს 1 ეტაპად 2026 წლის ივლისში.

სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
    - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს დოლარში, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
    - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:

ლელა ტყეშელაშვილი; ltkeshelashvili@msplus.ge

შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 20/07/2026 15:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.